სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ, რექტორის ბრძანების (2024 წლის 12 ივლისის №184/01-01) საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად, აკადემიური საბჭოს (2024 წლის 16 ივლისის № 85 /2024) დადგენილებით დამტკიცებული შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომა

შემაჯამებელი ოქმი

ქ.თბილისი 27 სექტემბერი, 18.00 სთ., 2024 წელი

აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

მაია ტორაძე –კომისიის თავმჯდომარე, თსუ ასოცირებული პროფესორი

მანანა შამილიშვილი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, თსუ პროფესორი

ხათუნა მაისაშვილი – კომისიის მდივანი, თსუ ასოცირებული პროფესორი

ნათია კუპრაშვილი – კომისიის წევრი, თსუ ასოცირებული პროფესორი

მაგდა მემანიშვილი – კომისიის მოწვეული წევრი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. საკონკურსო კომისიის პირველი (დოკუმენტების შესწავლა) და მეორე სხდომის (გასაუბრებისა და კენჭისყრის) შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, მაია ტორაძის ინფორმაცია კონკურსის მიმდინარეობის შესახებ:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის ბრძანების (2024 წლის 12 ივლისის №184/01-01) საფუძველზე კონკურსი

გამოცხადებული იყო ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ“) 2 საშტატო ერთეულზე. კონკურსში მონაწილეობდა 2 კონკურსანტი - **თინათინ მაჭარაშვილი და ნათია სვანიძე.**

კონკურსის პირველ ეტაპზე განხილულ იქნა კონკურსანტების დოკუმენტაცია.

ორივე კანდიდატს წესრიგში ჰქონდა საკონკურსოდ წარმოდგენილი საბუთები, რომლებიც სრულად შეესაბამება ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევ საკონკურსო კრიტერიუმებს.

კონკურსანტების - თინათინ მაჭარაშვილისა და ნათია სვანიძის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118 დადგენილებით განსაზღვრული კონკურსანტის შეფასების ფორმის (დანართი #4) ოთხივე კატეგორიის მიხედვით, მიეცა შეფასება - მაღალი.

კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტები: თინათინ მაჭარაშვილი და ნათია სვანიძე გადაყვანილი იქნენ კონკურსის მეორე - გასაუბრების ეტაპზე. კონკურსანტმა თინათინ მაჭარაშვილმა წარმოადგინა პრეზენტაცია „კონსტრუქციული ჟურნალისტიკა – ცნება და პრაქტიკა“. მან საინტერესოდ ისაუბრა კონსტრუქციული ჟურნალისტიკის არსის, პრობლემატიკისა და მისი ქართულ რეალობაში დამკვიდრების თავისებურებებზე. ყურადღება გაამახვილა „გამოსავლის ძიების“ ჟურნალისტიკის სწავლების მეთოდიკაზე. სასემინარო და სალექციო მუშაობის სტილზე. მოიყვანა მაგალითები ქართული და დასავლური მედიაგამოცდილებიდან. შემდეგ კონკურსანტმა უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს. კერძოდ, კომისიის თავმჯდომარემ მაია ტორაძემ კონკურსანტს დაუსვა შეკითხვა კონსტრუქციული ჟურნალიტიკისა და რეგიონული მედიის სპეციფიკური ურთიერთმიმართების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ხოლო კომისიის წევრმა ნათია კუპრაშვილმა - კონსტრუქციული ჟურნალისტიკის ეფექტურობის შესახებ გამომდინარე მედიასისტემის სპეციფიკიდან. კონკურსანტმა შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა.

კონკურსანტმა ნათია სვანიძემ წარმოადგინა პრეზენტაცია „პოდკასტინგი – ციფრული თხრობა: სწავლება და სწავლა“. მან ისაუბრა პოდკასტების წარმოების სპეციფიკაზე, იმ შემოქმედებით გზებზე, რომელთაც პოდკასტების ავტორები იყენებენ აუდიტორიის მისამხრობად. ხაზი გაუსვა ჟურნალისტური საქმიანობის ამ ახალი სფეროს მნიშვნელობას საზოგადოებაში მიმდინარე აქტუალური თემების რეპრეზენტაციისთვის. ისაუბრა ასევე პოდკასტინგის წანამძღვრებზე, მის ტექნიკურ მახასიათებლებსა და სწავლების თავისებურებებზე. კონკურსანტმა უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს. კერძოდ, კომისიის წევრმა ნათია კუპრაშვილმა მას შეკითხვები დაუსვა: (1) იმ ციფრული პლატფორმების სპეციფიკის შესახებ, რომლებიც მიმართავენ პოდკასტურ პროდუქციას; (2) იმ ტექნიკების შესახებ, რომელბსაც სტუდენტები იყენებენ სასწავლო პროდუქციის შექმნისას. კონკურსანტმა შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა.

კომისიის თავმჯდომარემ, მაია ტორაძემ კომისიის წევრებს გააცნო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118 დადგენილებით განსაზღვრული ხმის მიცემის პროცედურა (დანართი #1).

კონკურსის შედეგის დასადგენად გაიმართა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობდნენ: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი: მაია ტორაძე – კომისიის თავმჯდომარე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი მანანა შამილიშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორები: ხათუნა მაისაშვილი (კომისიის მდივანი), ნათია კუპრაშვილი, კომისიის მოწვეული წევრი - მაგდა მემანიშვილი, კავკასიის უნივერისტეტის/შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ფარული კენჭისყრის შედეგები:

თინათინ მაჭარაშვილი - მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0

ნათია სვანიძე - მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

1.კონკურსანტ **თინათინ მაჭარაშვილის** მიერ გაწეული სამეცნიერო მუშაობის მოცულობა და მნიშვნელობა სრულად შეესაბამება თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118 დადგენილებით განსაზღვრულ აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესით დადგენილ მოთხოვნებს. კომისიის შეფასებით, კონკურსანტი თინათინ მაჭარაშვილი არის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების კვალიფიციური მკვლევარი, რომლის ნაშრომებიც ხასიათდება მეცნიერული სიახლით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ძალისხმევა სწავლების ინტერნაციონალიზების თვალსაზრისით. თინათინ მაჭარაშვილის აქტიური მონაწილეობით ჩაეყარა საფუძველი ნაყოფიერ თანამშრომლობას თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებასა და სტრასბურგის უნივერსიტეტის მედიასკოლას შორის. მისი ორგანიზებით შედგა ასევე საზაფხულო სკოლა ფრანგული მხარის ჩართულობით, საარჩევნო თემატიკის მედიაში გაშუქების თემაზე. სამომავლოდ ამ თანამშრომლობის ახალი პერსპექტივა ისახება, რაც დიდად წაადგება ჟურნალისტურ სწავლებაში ახალი მეთოდების დანერგვისა და დასავლური გამოცდილების გაზიარების საქმეს.

კონკურსანტ **ნათია სვანიძის** მიერ გაწეული სამეცნიერო მუშაობის მოცულობა და მნიშვნელობა სრულად შეესაბამება თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის #118 დადგენილებით განსაზღვრულ აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესით დადგენილ მოთხოვნებს. კომისიის შეფასებით, კონკურსანტი

ნათია სვანიძე არის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების კვალიფიციური მკვლევარი, რომლის ნაშრომებიც ხასიათდება თემათა აქტუალურობით, მეცნიერული სიახლითა და მრავალმხრივობით. მისი სამეცნიერო ინტერესები უკავშირდება ჟურნალისტური ჟანრების ტრანსფორმაციისა და მედიატექსტის შინაარსობრივი ელემენტების თავისებურებათა კვლევას. საგულისხმოა ნათია სვანიძის წვლილი ახალი ჟურნალისტური ფორმების, კერძოდ, პოდკასტების წარმოების სწავლებაში. როგორც ამ დარგის მცოდნე და გამოცდილი პედაგოგი, იგი დიდ ძალისხმევას ახმარს მიმართულების პრაქტიკული სწავლებისა და კვლევითი პოტენციალის განვითარებას. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა საინტერესო სტუდენტური პროდუქცია, რომლის ნიმუშებიც ფაკულტეტის მულტიმედიაცენტრის პორტალზეა განთავსებული.

2. კონკურსანტი **თინათინ მაჭარაშვილი** არჩეულ იქნას ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (5 ხმა მომხრე, 0 წინააღმდეგი).

კონკურსანტი **ნათია სვანიძე** არჩეულ იქნას ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე (5 ხმა მომხრე, 0 წინააღმდეგი).

3. შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე:	მაია ტორაძე	
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:	მანანა შამილიშვილი	
კომისიის მდივანი:	ხათუნა მაისაშვილი	
წევრები:	ნათია კუპრაშვილი	
	მაგდა მემანიშვილი	